საქართველოს ინოვაციების
და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის
სამინისტრო

სრიგ3

პრიორიტეტი 3 მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა

ღონისძიება 3.2 ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერა

„საქართველოს რეგიონული ეკოსისტემის გაძლიერება საპილოტე რეგიონებში“

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა

2020-2022

მაისი, 2022

საპროექტო წინადადების წარმდგენი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს **სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“**

პროექტის განხორციელების ადგილი : იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

საპროექტო წინადადება წარმოდგენილია სრიგპ-ის **პრიორიტეტი 3-ის „**მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობის“ **ქვეღონისძიება 3.2-ის** - „ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერა“-ის ფარგლებში.

პროექტის მიზანი: აღნიშნული ინიციატივის კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენს რეგიონებში ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ადგილობრივი საწარმოების ბიზნეს პროცესებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვისკენ მიმართული ღონისძიებების (მათ შორის, ფინანსებზე წვდომის ინსტრუმენტების გაძლიერების) განხორციელების შესაძლებლობის ამაღლება. ხსენებული ინიციატივის ფარგლებში იდენტიფიცირებული ღონისძიებების განხორციელება მოხდება მეწარმე სუბიექტების მიერ მათი ტექნოლოგიების განახლების ხელშეწყობის გზით, რაც მათ საშუალებას მისცემს მიაწოდონ ბაზარს ახალი პროდუქცია და მომსახურება, განავითარონ რეგიონული ღირებულებათა ჯაჭვები და რეგიონული ეკონომიკის პროდუქტულობის დონე.

პროგრამის მიმართულებები სრულ თანხვედრაშია სრიგპ-ს პრიორიტეტი 3-ის , „ქვეღონისძიება 3.2-ით გათვალისწინებულ მიზნებთან და ამოცანებთან, რაც გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და რეგიონული სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას. აღნიშნული მოიცავს საპილოტე რეგიონებში ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, დამატებით ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობას და ასევე, რეგიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში საჭირო ინოვაციური ინფრასტრუქტურისა და დანადგარების არსებობას.

პროგრამით დაშვებული აქტივობები მორგებულია და პასუხობს პროგრამის შესრულების ქვევით მოცემულ ინდიკატორებს. სააგენტო ანგარიშგებას განახორციელებს წელიწადში ერთხელ დამტკიცებული ანგარიშგების ფორმის შესაბამისად.

პროგრამის **სამიზნე ჯგუფს** წარმოადგენს სამიზნე რეგიონებში რეგისტრირებული ან/და მოქმედი ფიზიკური პირები, მეწარმე სუბიექტები, სტარტაპები.

პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო სამიზნე რეგიონებში სახავს შემდეგ **საშუალოვადიან მიზნებს:**

- რეგიონული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება და ეკონომიკის პროდუქტულობის დონის ამაღლება;
- რეგიონული ღირებულებათა ჯაჭვების განვითარება;

- რეგიონული პროდუქციისა და მომსახურების ტექნოლოგიური დონის ამაღლება და კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- მცირე და საშუალო საწარმოების შესაძლებლობების გაზრდა, ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების გამოყენების გზით;
- ადგილობრივი საწარმოების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობის ამაღლება;
- ბიზნეს-სექტორსა და კვლევა-განვითარების აქტორებს შორის არსებული დისტანციის შემცირების სტიმულირება.

დანართი 1 - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ საპილოტე რეგიონებში მცირე გრანტის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი აწესრიგებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, საპილოტე რეგიონებში[1] მცირე გრანტების (შემდგომში მცირე გრანტის) გაცემის პირობებს და პროცედურებს.

2. მცირე გრანტი შეიძლება გაიცეს:

ა) ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების მიმართულებით პროტოტიპების შექმნის დასაფინანსებლად - (არაუმეტეს 30,000 ლარისა);

ბ) ბიზნეს პროცესში ინოვაციური ან ტექნოლოგიური ელემენტის ინტეგრირებისთვის.

3. საგრანტო დაფინანსების ადმინისტრირებას, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევას და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო.

4. მცირე გრანტის დაფინანსების დაფინანსების წყაროა: 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებები.

მუხლი 2. მცირე გრანტის მიზანი

1. მცირე გრანტის მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) ინოვაციების დანერგვას, ტესტირებას ან გაუმჯობესებას მათი შემდგომი

[1] "2018-2021 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის" ფარგლებში საპილოტე რეგიონების განსაზღვრის შესახებ "საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აგვისტოს N1713 განკარგულებით განსაზღვრული საპილოტე რეგიონები

კომერციალიზაციისთვის;

ბ) ინოვაციებით და ტექნოლოგიებით დაინტერესებული სუბიექტების საერთაშორისო ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ეკოსისტემაში ინტეგრაციას და მათი კომერციული პოტენციალის გაზრდას;

გ) ისეთი სერვისების/პლატფორმების დანერგვას, ტესტირებას ან გაუმჯობესებას, რაც ხელს უწყობს ელექტრონული სერვისების განვითარებასა და ადაპტირებას;

დ) ადგილობრივი ელექტრონული მმართველობის პოტენციალის ხელშეწყობასა და გაძლიერება, რომლის შედეგად მოხდება სერვისების გაციფრულება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყნის მოსახლეობისთვის, მარტივი და სწრაფი გადაწყვეტის გზების მეშვეობით;

ე) ადგილობრივი ინოვაციური და/ან ტექნოლოგიური პოტენციალისა და ეკოსისტემის გაძლიერებას.

ვ) სამიზნე რეგიონებში არსებული ბიზნესის პროცესებში ინოვაციური და ტექნოლოგიური კომპონენტების დანერგვის ხელშეწყობას.

მუხლი 3. გრანტის მიმღები

1. მცირე გრანტზე განაცხადის გაკეთება შეუძლიათ „გრანტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ სუბიექტებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქმიანობს შემდეგ რეგიონებში: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

2. მცირე გრანტის შემთხვევაში, გრანტის მიმღები შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი. ფიზიკური პირის საგრანტო განაცხადის გამარჯვების შემთხვევაში, მის მიერ მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია სავალდებულოა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე. გამარჯვებული პროექტის ავტორი ფიზიკური პირის მიერ მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის არ განხორციელება გამარჯვებიდან 1 თვის ვადაში განიხილება მისი მხრიდან საგრანტო დაფინანსების მიღებაზე უარად. მცირე გრანტის ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტთან.

მუხლი 4. მცირე გრანტი

1. მცირე გრანტით ფინანსდება: საქართველოში

ა) კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე ინოვაციური

პროდუქტის/სერვისის პროტოტიპის შექმნა;

ბ) ინოვაციური წარმოების მეთოდების შეძენა.

2. პროტოტიპი არის პროდუქტის/ელექტრონული სერვისის პირველადი/ადრეული ნიმუში, რომელიც შექმნილია პროდუქტის კონცეფციის, ფუნქციური შესაძლებლობების გამოსაცდელად.

მუხლი 5. მცირე გრანტის კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება

1. საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პორტალზე www.grants.gov.ge;

2. საგრანტო კონკურსის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას მცირე გრანტის შესახებ მათ შორის სააგენტოს მიზნებს და ხედვას მცირე გრანტის პროგრამის მიმართულებით;

ბ) მცირე გრანტის გაცემის წესს;

მუხლი 6. საგრანტო განაცხადი

1. მცირე გრანტის კონკურსში მონაწილეობის მიზნებისათვის დაინტერესებულმა პირმა საგრანტო განაცხადი უნდა დაარეგისტრიროს www.grants.gov.ge ვებ-პორტალზე.

2. განმცხადებელმა პორტალზე უნდა შეავსოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) პროექტის ბიუჯეტი;

ბ) განმცხადებლის და პროექტის მონაწილეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეზიუმე(ები) (cv);

გ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი (ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში, დაბადების მოწმობის ასლი და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი);

დ) საჭიროების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია კონკურსის შეფასების ეტაპზე მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა განმცხადებლის მხრიდან.

მუხლი 7. საგრანტო კონკურსის ეტაპები

1. საგრანტო კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) სააგენტოს მიერ საგრანტო განაცხადის ფორმალური გამართულობის

შემოწმება;

ბ) განმცხადებლის მიერ საგრანტო კომისიის წინაშე საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული პროექტის პრეზენტაციით წარდგენა;

გ) მცირე გრანტების კომისიის მიერ საგრანტო განაცხადის განხილვა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2. საგრანტო განაცხადების კომისიის წინაშე განხილვიდან 1 თვის ვადაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას განაცხადების დაფინანსების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია ამ პუნქტით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, გადაწყვტილების მიღების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორმალური გამართულობა გულისხმობს:

ა) საგრანტო განაცხადი წარმოდგენილია ამ წესის #1 დანართში წარმოდგენილი განაცხადის ფორმით;

ბ) განაცხადის ფორმის ყველა სავალდებულო ველი შევსებულია და მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

დ) განაცხადს ერთვის მასში მითითებული დანართები.

4. ფორმალური გაუმართაობის შემთხვევაში სააგენტო განმცხადებელს განუსაზღვრავს 5-დღიან ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზი გამოსწორებულად ითვლება და განაცხადის განხილვის ვადის ათვლა იწყება აღნიშნულ ვადაში შესაბამისი დაზუსტებული განაცხადის/დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის მომენტიდან.

5. ამ მუხლის შესაბამისად დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განაცხადი არ გადადის კონკურსის შემდეგ ეტაპზე, რაც არ ართმევს განმცხადებელს უფლებას იგივე საგრანტო განაცხადი წარმოადგინოს განმეორებით.

მუხლი 8. საგრანტო კონკურსის სპეციალური პირობები

1. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთი და იმავე განმცხადებელის ერთი ან რამდენიმე მცირე გრანტის პროექტისათვის გაცემული გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30,000 ლარს. ამ პუნქტის მიზნებისათვის გრანტის ოდენობაში იგულისხმება სააგენტოს მიერ საბიუჯეტო წლის განმავლობაში გრანტის მიმღებზე გაცემული დაფინანსება და არ მოიცავს გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად სააგენტოსთვის დაბრუნებულ თანხებს.

2. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთი და იმავე განმცხადებელი სხვადასხვა პროტოტიპის პროექტისათვის საერთო ოდენობით 30000 ლარამდე დაფინანსებას მიიღებს იმ შემთხვევაში თუ კომისიის წინაშე გასაუბრებამდე, წინა დაფინანსებული საგრანტო პროექტი გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად იქნება დასრულებული.

3. კონკრეტული პროექტისთვის მცირე გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30,000 ლარს, რომელიც გრანტის მიმღების მიერ ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც თანადაფინანსების წყარო.

4. გრანტის მიმღები ვალდებულია საგრანტო დაფინანსებაზე ამ წესის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოადგინოს საბანკო ანგარიში, რომელზეც სააგენტო ჩარიცხავს გრანტის თანხას. გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის თანხა გამოიყენოს მიზნობრივად, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. იგი არ არის უფლებამოსილი აღნიშნული ანგარიშით აწარმოოს გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგრანტო პროექტთან, ან აღნიშნულ ანგარიშზე მიიღოს (ჩარიცხოს) სხვა თანხები.

5. საგრანტო პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, რომელიც პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს 3 თვის ვადით.

6. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს ფინანსური და პროგრამული ანგარიში.

7. მცირე გრანტის მიზნებისათვის სააგენტო უფლებამოსილია საგრანტო პროექტის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში შერჩევითი პრინციპით შეამოწმოს დაფინანსებული პროექტები, პროტოტიპის ადგილზე ნახვის, გატესტვის, სადემონსტრაციო დღეების ორგანიზების გზით.

8. სააგენტო უფლებამოსილია მცირე გრანტის განაცხადის შეფასების მიზნებისათვის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს მიმართოს პროტოტიპის თაობაზე საპატენტო წინასწარი ძიების ჩასატარებლად, რომლის შედეგებსაც აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

9. სააგენტო არ არის უფლებამოსილი დააფინანსოს საგრანტო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დაფინანსების მოპოვების მიზნით სააგენტოს განზრახ შეცდომაში შეყვანას და შეიცავს ყალბ ან არაზუსტ ფაქტებს.

10. „მცირე გრანტის კომისიის ”მიერ დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტო არ არის უფლებამოსილი ასეთი პროექტის ავტორთან დადოს ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების დადების შემდეგ ასეთი ფაქტების გამოვლენა, არის ხელშეკრულების

შეწყვეტის საფუძველი, რა დროსაც, გრანტის მიმღები ვალდებულია დააბრუნოს საგრანტო დაფინანსების ფარგლებში სააგენტოსგან გრანტის სახით მიღებული თანხა.

მუხლი 9. გრანტის განკარგვა

1. მცირე გრანტის შემთხვევაში, გრანტის მიმღები უფლებამოსილია სააგენტოსგან გრანტის სახით მიღებული თანხა გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნობრიობით: საქონლის, მომსახურებისა (პროექტის განხორციელებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების) და არაფინანსური აქტივების შესაძენად, მათ შორის ძირითადი საშუალებების (მანქანა-დანადგარები)

მუხლი 10. გადახდები

ბენეფიციარი გახსნის სპეციალურ საბანკო ანგარიშს, რომელიც გამოყენებული იქნება მხოლოდ პროექტის მიზნებისათვის. ყველა გადახდა პროექტის ფარგლებში განხორციელდება ამ სპეციალური ანგარიშის მეშვეობით. ნაღდი ფულის (სალაროს) გამოყენებით დაფარული ხარჯები დაუშვებლად ჩაითვლება.

გრანტის სახსრები ბენეფიციარზე გაიცემა ორი კვარტალური ტრანშის სახით; პირველი ტრანში ბენეფიციარის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე გადაირიცხება საგრანტო
დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო მეორე ტრანში უზრუნველყოფილი იქნება წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშების საფუძველზე.
კვარტალური ტრანშის გაცემამდე, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშები სხვა მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად პროექტის კვარტლის ბოლო კალენდარული დღიდან ორი (2) კვირის განმავლობაში.
ანგარიშების განხილვასა და დამტკიცებას დაახლოებით ოთხი (4) კვირა დასჭირდება, შესაძლოა ასევე საჭირო იყოს ობიექტზე გასვლა მონიტორინგის ჩასატარებლად.
ბენეფიციარს უფლება აქვს დაუშვას თხუთმეტ პროცენტამდე (15%) გადაჭარბება/ცვლილება პროექტის ბიუჯეტში მოცემულ ერთ ან რამდენიმე ბიუჯეტის კატეგორიისათვის. თუ მოსალოდნელია, რომ პროექტის მსვლელობისას რომელიმე ბიუჯეტის კატეგორიასთან დაკავშირებული დანახარჯების ცვლილება თხუთმეტ პროცენტს (15%) გადააჭარბებს, სააგენტოსათვის დასამტკიცებლად წარდგენილი უნდა იქნას საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების წერილობითი მოთხოვნა.

სააგენტო იტოვებს უფლებას შეაჩეროს ან შეწყვიტოს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფინანსება და მოითხოვოს დახარჯული სახსრების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურება, იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი ვერ შეძლებს საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი

რომელიმე ვალდებულების შესრულებას.

ხარჯებისა და ნაშთების გაანგარიშება

პროექტის შეუფერხებელი განხორციელებისათვის გადახდების მოცულობა და მისი გრაფიკი ქვემოთ მოცემული გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს:

ა) პირველი საავანსო გადახდა უნდა უტოლდებოდეს მოთხოვნილი თანხის 50%-ს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ზემოხსენებული გადახდის დასასაბუთებლად და მის მისაღებად და დადასტურებად, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს თანხის მოთხოვნის განაცხადი;
ბ) შემდგომ, მეორე საავანსო გადახდა უტოლდებოდეს დარჩენილ 50%-ს ზემოხსენებული ტრანშის მისაღებად, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

1. კვარტალური ფინანსური ანგარიში.

პროექტის ვადის ამოწურვის შემდეგ ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

1. პროექტის განხორციელების საბოლოო ანგარიში;

2. ბოლო საანგარიშგებო კვარტლის ფინანსური ანგარიში;

ზემოთმოყვანილი გამოთვლების გარდა, საავანსო გადახდა და საბოლოო გადახდა, შესაძლოა შემცირდეს დაუხარჯავი ნაშთის საფუძველზე, მაშინ, როდესაც ეს ხარჯვის ნაკლებობა გამოწვეულია ეკონომიით ან საქმიანობების განხორციელების შეყოვნებით. ამ შემთხვევაში, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს განახლებული სამუშაოების გრაფიკი და კორექტირებული ბიუჯეტი, იმისათვის რომ მოითხოვოს ფინანსური სახსრების გადანაწილება, გარდა იმ შემთხვევებისა როცა საქმიანობების გადავადება იწვევს პროექტის განუხორციელებლობას. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება ეს უკანასკნელი, კონტრაქტი შეჩერდება საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ ფინანსურ ანგარიშებში აღმოჩნდება არამიზნობრივი ხარჯები, ბენეფიციარი ვერ მიიღებს შემდეგ ტრანშს, იქამდე, სანამ შესაბამისი თანხა არ დაბრუნდება პროექტის ანგარიშზე.

მუხლი 11. მცირე გრანტის კომისია

1. მცირე გრანტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროტოტიპის საგრანტო კომისია.

2. მცირე გრანტის კომისია შედგება 3 წევრისგან, რომელთაც ბრძანებით

ნიშნავს სააგენტოს თავმჯდომარე. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება წარმოდგენილი კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

3. მცირე გრანტის კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს სააგენტოს თავმჯდომარე.

4. მცირე გრანტის კომისია გადაწყვეტილებას იღებს განმცხადებელის მიერ საგრანტო განაცხადის განხილვისა და მასთან ზეპირი გასაუბრების საფუძველზე. კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია დაუსვას კითხვები განმცხადებელს.

5. კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს საგრანტო განაცხადს ამ წესის მე-11 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და საკუთარ შეფასებას განაცხადის დაფინანსების ან დაფინანსებაზე უარის შესახებ ასახავს შეფასების ფურცელში, რის საფუძველზეც დგება სხდომის ოქმი.

6. საგრანტო განაცხადის პროტოტიპის შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემთხვევაში მცირე გრანტის კომისია იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო დაფინანსების შესახებ. კომისიის მიერ განაცხადის დაფინანსებისთვის საჭიროა სულ მცირე გრანტის კომისიის 2 წევრის დადებითი შეფასება.

7. პროექტის დაფინანსების ან დაფინანსებაზე უარის შესახებ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები აისახება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

8. კომისია უფლებამოსილია განაცხადის განხილვის შედეგად პროექტი არ გადაიყვანოს კომისიის წინაშე ზეპირი განხილვის ეტაპზე თუ განაცხადში მოცემული ინფორმაცია შინაარსობრივად არასრულყოფილია და წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლებელია განაცხადის შეფასება ან განაცხადი ვერ პასუხობს მცირე გრანტის მიზანს.

9. კომისია უფლებამოსილია გასაუბრების შედეგად განმცხადებელს მისცეს რეკომენდაცია საგრანტო განაცხადის გაუმჯობესების შესახებ ან/და მოსთხოვოს წარმოდგენილი ბიუჯეტის კორექტირება, რაც აისახება საგრანტო კომისიის სხდომის ოქმში.

10. საჭიროების შემთხვევაში საგრანტო კომისია უფლებამოსილია სხდომა ჩაატაროს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით.

მუხლი 12. მცირე გრანტის განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

1. მცირე გრანტის განაცხადი, ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) პროექტის გუნდის კომპეტენცია;

ბ) პროექტის კომერციალიზაციის პოტენციალი (ბაზრის მოცულობა/მასშტაბი/შესაძლებლობა);

გ) კონკურენტული უპირატესობა/ინოვაციურობა;

დ) პროდუქტი/ტექნოლოგია;

ე) გავლენა საპილოტე რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე

მუხლი 13. საგრანტო ხელშეკრულების დადება

1. იმ პირებთან, რომელთა დაფინანსების შესახებ შესაბამისმა კომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, სააგენტო სხდომის ოქმის შედგენიდან პროექტის დაწყებამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებებს, რომლითაც განისაზღვრება სააგენტოსა და დაფინანსებულ პირთან შორის ურთიერთობები.

2. ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების გაფორმებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტების ანდა საგრანტო პროექტის ბიუჯეტის რედაქტირება საგრანტო კომისიის წინაშე განხილვის ეტაპზე წარმოდგენილი ბიუჯეტის საერთო ოდენობის ფარგლებში.

3. გრანტის მიმღებსა და სააგენტოს შორის ურთიერთობები, მათ შორის მონიტორინგის წესი და მხარეთა პასუხისმგებლობები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებით.

მუხლი 14. დაფინანსებულ საგრანტო პროექტში ცვლილებების შეტანა

1. დაფინანსებული საგრანტო პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ მოთხოვნა გრანტის მიმღების მიერ უნდა მოხდეს ცვლილების საჭიროების გამოვლენიდან დაუყოვნებლივ, გაჭიანურების გარეშე. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება პროექტის ვადის გასვლის შემდეგ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების შესახებ მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა ასაბუთებდეს ცვლილების საჭიროებას და უთითებდეს, თუ როდის გახდა ცნობილი გრანტის მიმღებისათვის ცვლილების საჭიროება.

3. სააგენტო უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რომლის საჭიროება არ არის დასაბუთებული, ან/და წარმოდგენილია არასაპატიო დაგვიანებით. ასეთ შემთხვევაში, თუკი გრანტის მიმღები პროექტის ვადის ამოწურვამდე არ დაასრულებს პროექტს, დადგება პროექტის შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული შედეგები.

4. საგრანტო პროექტში ცვლილებების შესახებ გრანტის მიმღების მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე სააგენტო დაფინანსებული საგრანტო პროექტის ხელშეკრულებით დადგენილი ვადის დასრულებამდე იღებს გადაწყვეტილებას პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ.

5. პროტოტიპის გრანტის შემთხვევაში, პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტში არსებული ხარჯის დასახელებებს შორის თანხის გადანაწილება არ საჭიროებს სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმებას. საჭიროების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს ზემოაღნიშნული გადანაწილების შესაბამისი დასაბუთება.

მუხლი 15. საგრანტო პროექტის მონიტორინგი

1. საგრანტო პროექტის დასრულების შემდეგ სააგენტო ახორციელებს დაფინანსებული პროექტების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი პროგრამული და ფინანსური ანგარიშის საფუძველზე, ანგარიშების წარმოდგენიდან 2 თვის ვადაში.

2. ფინანსური და პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისა და აქტივობების შესრულების შემოწმებას, რაც აისახება ფინანსური ანგარიშის განხილვისა და პროგრამული ანგარიშის განხილვის აქტებში

3. ფინანსური ანგარიშის განხილვისა და პროგრამული ანგარიშის განხილვის აქტების შედეგები ისახება საბოლოო განხილვის აქტში, რომლის საფუძველზეც სააგენტოსა და გრანტის მიმღებს შორის დგება შედარების აქტი.

4. გრანტის მიმღებსა და სააგენტოს შორის საბოლოო ანგარიშსწორება ხდება მხარეთა შორის გაფორმებული შედარების აქტის საფუძველზე.

5. საგრანტო პროექტის მონიტორინგი ხორციელდება საგრანტო წესის შესაბამისად.

6. გრანტის მიმღების მიერ წარდგენილ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშზე სააგენტო ადგენს განხილვის აქტს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობა საგრანტო ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

მუხლი 16. პროგრამული და ფინანსური ანგარიშების წარდგენა

1. გრანტის მიმღებმა პროგრამული და ფინანსური ანგარიშები სააგენტოს უნდა წარუდგინოს პროექტის დასრულებიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

2. ფინანსური ანგარიშებს უნდა ერთოდეს საგრანტო განაცხადის ფარგლებში გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო პროგრამულო ანგარიშს, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 17. ინტერესთა კონფლიქტი

1. კომისიის წევრი ვალდებულია, კომისიის სხდომის დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილების შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა კომისიის სხდომასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იმ შემთხვევაში თუ სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კომისიის წევრი და განმცხადებელი ურთიერთდაკავშირებული პირები არიან.

2. ამ ბრძანების მიზნებისათვის ურთიერთდაკავშირებულ პირებად ითვლებიან პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საგრანტო დაფინანსებაზე, მათ შორის ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) კომისიის წევრი და განმცხადებელი არიან ერთი საწარმოს პარტნიორები;

ბ) კომისიის წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს საწარმოში ან კომისიის წევრი ახორციელებს საწარმოს კონტროლს (განმცხადებელი იურიდიული პირის შემთხვევაში);

გ) კომისიის წევრი/განმცხადებელი თანამდებობრივად ექვემდებარება განმცხადებელს/კომისიის წევრს;

დ) კომისიის წევრი და განმცხადებელი ნათესავები არიან;

ე) კომისიის წევრი და განმცხადებელი არარეგისტრირებული კავშირის/ ამხანაგობის წევრები არიან.

3. ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან:

ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;

ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;

გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ასევე ნათესავების პირველ და მეორე შტოსთან მუდმივად მცხოვრები პირები.

4. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობა წარმოადგენს იმ საგრანტო პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს, რომელთან მიმართებითაც კომისიის წევრს გააჩნდა ინტერესთა კონფლიქტი.

5. ამ მუხლის მიზნებისათვის კომისიაში იგულისხმება, როგორც მცირე გრანტის კომისია ასევე შიდა საგრანტო კომისია.

მუხლი 18. კონფიდენციალურობა

1. საგრანტო განაცხადების შეფასებაში ჩართული პირები, მათ შორის, კომისიის წევრები, არ არიან უფლებამოსილნი გაამჟღავნონ ან პირადი მიზნებისათვის გამოიყენონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა საგრანტო კონკურსის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის კომისიაში იგულისხმება, როგორც მცირე გრანტის კომისია, ასევე შიდა საგრანტო კომისია.

საგრანტო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა განმცხადებელმა შეავსოს ყველა აუცილებელი ველი საგრანტო პორტალზე GRANTS.GOV.GE, სხვა ფორმით წარმოდგენილი განაცხადები არ მიიღება.

პორტალზე დამატებებით დოკუმენტებად განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

1.

- ✓ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია (CV, რეზიუმე);
- ✓ გუნდის წევრების შესახებ ინფორმაცია (CV, რეზიუმე).

2. **დამატებითი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- ✓ პროტოტიპის გეგმა/ნახაზი, ესკიზი;
- ✓ პროტოტიპის ნიმუშის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა.